# სახალხო გაზეთი

№ 439 სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 439

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. წ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible] ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ორპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

---

ელენე ნიკოლოზის ასული და ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილები, სალომე გიორგის ასული მაღალაშვილი და იოსებ ზებედეს ძე ცხვედაძე აცნობებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი—მამის, მეორე—სიმამრის, მესამე—ბიძის და უკანასკნელი—ძმის

## ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის

გარდაცვალებას 30 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე (გუნიბის ქუჩა № 10). გამოსვენება ბინიდან ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე. ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც, წირვისა და წესის აგების შემდეგ, ცხედარს წაასვენებენ დასაკრძალავად დიდუბის ეკლესიის გალავანში (3—900—1)

---

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ამით იუწყება, რომ 1911 წ. 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზე) დანიშნულია პანაშვიდი ზედამხედველ კომიტეტის წევრად ნამყოფ, გარდაცვალებულ

## ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძისა

სულის მოსახსენებლად. (1—1568—1)

---

## თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ" ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაარმოებისას. ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას,.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდი ქ უ თ ა ი ს შ ი — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ო რ ი ა ბ ა ზ ი ა. (15—1539—12)

---

## ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

## წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (თ 100—1534—16)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა

მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი გურბიცკაია-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

დაგთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და [illegible]ბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგა და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოდოლევსკი ბ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.— შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

## წამლობა „606"-ით

Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთავაზ. საფასურით. (წ.—1089—597)

---

## ექიმი მ. ნ. მამაცაშვილი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—61

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—[illegible] ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი გაბაშვილისა. [illegible]

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79.

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს 1911 წ. ვასო აბაშიძის მონაწილეობით. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე ცნობილი პიესა

## „კ ლ დ ე"

გ. ფაფაზიანისა, თარგ. ყ. კ—ძსა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, ვიქტორელი, ქილარჯიშვილი, პიერეტა. ჩერქეზიშვილი; ბ ნნი აბაშიძე, არადელი-იმხნელი, აბდუშელი, ბერიშვილი, გუნია, გვარამე, გედევანოვი, დავითაშვილი, თელი, ციციშვილი. და სხვ.

დასაწყ. 8 ს. ● ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ანონსი: მზადდება გაცემი, სატანა, ანტიგონა, ახალი მომღვრება

(3.904.1) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

---

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—163)

---

## კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ 1911 წ. 29 ნოემბრისათვის დანიშნულია ქ. ქუთაისში, შორაპნის მაზრის

## შავი ქვის მრეწველთა მე-XIV მორიგი კრება

კავკასიის სამთო ოლქის, საოლქო ინჟენერ სტატს.-სოვეტ აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები:

1) კრების მდივნის არჩევა.
2) ანგარიშთა განხილვა: ა) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ბაქანებისა და ჭიათურის ლიანდაგზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტისა.
3) განხილვა მაღაროების ნაყოფიერების სტატისტიკო ცნობათა, რკინის გზის სადგურებზე დაგროვილი სათადარიგო მადნის რაოდენობა, გატანილ მადნის რაოდენობა, მადნის საწყობი ადგილები და გადასაზიდი საშუალებანი კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოსა და მთავარ ლიანდაგზე.
4) მაღაროების მუშათა და სამრეწველო ფარგლის მცხოვრებთათვის წყლის გაყვანის საქმე.
5) ჭიათურის შავი ქვის ფარგალში მექანიკურ საშუალებით მადნის შემოტანა.
6) მდ. ყვირილის გაბინძურება შავი ქვის რეცხვის გამო და მის თავიდან აცილება.
7) ელექტრონის საშუალებით ფერრო-მარგანეცის გამოდნობა.
8) გამოკვლევანი ბრიტანიის ინდოეთში შავი ქვის მრეწველობისა.
9) კრების საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენის საკითხი.
10) ტელეფონით შეერთება ჭიათურისა ქუთაისთან, ბათუმთან და ფოთთან.
11) სხვა და სხვა სარკინისგზო საკითხები, სახელდობრ:
   ა) ჭიათურაში საცალფეხო ხიდის გაკეთება.
   ბ) ჭიათურის სადგურზე ჯვარედინ გზების გაყვანა.
   გ) ჭიათურაში მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე გზის გაფართოება.
   დ) ჭიათურის სადგურთან გზების მოკირწყვლა და წესიერი მოვლა.
   ე) ჯვარედინ გზებისა და საწყობ ბაქნების განათება.
   ვ) განზრახულ მექანიკურ დასაქანებამდე სასატარებლო ლიანდაგის გაყვანა.
   ზ) ჭიქოურში სადგურის გაკეთება.
   თ) სასადგურო გადასახადის დაწესება, როგორც მგზავრებზე ისე სხვა საქონელზე, შავი ქვის გარდა.
   ი) ჭიათურასა და ყვირილის შუა ძველი გზატკეცილის შეკეთება.
   კ) სხვა საკითხები, რაც შავი ქვის გადაზიდვის საქმეს ეხება.
12) დაბა ჭიათურის გადაკეთება პოსადად და შემოკლებულ თვითმმართველობის შემოღება.
13) ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში პარალელურ განყოფილებათა გახსნა.
14) მაღაროებში უბედური შემთხვევის დროს დაშავებულ მუშათა ხარალის ასანაზღაურებელ საქმის რეორგანიზაცია.
15) სიღზის სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სათადარიგო ფონდის დაარსება.
16) 1912 წ. ხ.რჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება.
17) თანამდებობის პირთა არჩევა. (4—156—3)

---

## საავტომობილო მიმოსვლის

ფრანგული უსახელო საზოგადოება დღეიდან ავტომობილების მიმოსვლას დაიწყებს

## ტფილისსა და სიღნაღს შუა

ავტომობილები ტფილის-სიღნაღიდან გავა ყოველ-დღე დილის 8 საათზე. ადგილების ფასები—5 მანეთი. ბარგისა ფუთზე 1 მანეთი. ბილეთები იყიდება საზოგადოების კანტორაში, ოლღის ქუჩა, სახლი № 46; (ტელეფონი № 1100) და ავლაბარში, კახეთის მოედანი, სახ. № 5. (7—1553—5)

---

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.2)

---

## ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მახლ. N 5.

---

## ექიმი მ. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1867. (100—1117—37)

---

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 183

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყოლეკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თუთარაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ზუდნოვსკი ა. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდნევი—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვიჩკაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანსსა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უალიმჭაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილ ს აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნერის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—13)

---

## ვაკზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. გ. ხოდოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით.

(წ. —1090—201)

---

## ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—24)

---

## ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 3. (თ.—1546—13)

---

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—4)

---

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადიაქტერო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადიაქტერო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მახლობლად.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—31)

---

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ზვანიშვილისა.

---

## ექიმი კბილისა იოსებ ზაქარ. ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—4)

---

1 ნოემბრიდან 1911 წ.

## ქართველ ქალთა

ამხანაგობის

სადგურში დაიწყება

## ჭრა-კერვის კურსები

საღამოობით

იმათთვის, ვისაც დილა არა აქვთ თავისუფალი. და წვრილებით ცნობები შეიძლება შეიტყოთ: ვერა, გაბაანთ ქუჩა № 3. (5.898.2)

---

კარგ ქართულ ოჯახში

## იღებენ მოწაფეებს

სრული ხარჯით: ჭამა-სმით, ცალკე ოთახით, განათება-გათბობით და სხვა.

მისამართი: გუნიბის ქუჩა (ვერაზე), № 45. (10—10)


## ტფილისი, 1 ნოემბერი

**ხმოსანთ კანდიდატების ძებნაში.** ამ რამდენისამე დღის წინად „ტიფლ. ლისტოკმა" გამოაცხადა, პირველ საარჩევნო უბანში მოლაპარაკება ჰქონდათ რუს, ქართველ და სომეხ ამომრჩეველთა ბიუროებს. გამოქვეყნებული იყო აგრეთვე სია დასახელებულ კანდიდატებისა. თუმცა მეორე დღეს ეს ცნობა უარყოფილ იქნა, მაგრამ განმარტება მაინც არაფითარ ეჭვს არა ჰბადებდა, რომ ქართველ ამომრჩეველთა ბიუროს მაინც გაუმართავს მოლაპარაკება ისეთს ჯგუფებთან, რომელთა საარჩევნო პროგრამა სრულიად არ შეეფერება ქართველ ამომრჩეველთა პროგრამას. ადვილად შესაძლებელია, რომ ბიურო მართლაც ვერ შესთანხმდა ანტონოვისა და ბებუთოვის ჯგუფთან, მაგრამ რახან მოსალაპარაკებლად წავიდა, ცხადია ჰსურდა და იმედიცა ჰქონდა შეთანხმებისა. ეს ჩვენ მიუტევებელ დანაშაულებად მიგვაჩნია, რადგანაც სრულიად ეწინააღმდეგება იმ პოზიციას, რომელიც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფმა დაიჭირა. შეთანხმება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფთან ბიუროს საქმე კი არ არის, არამედ თვით იმ ჯგუფისა, რომლის წარმომადგენლად და აზრების გამომხატველადაც ბიურო ითვლება. შეთანხმება საზოგადოებრივ ჯგუფებთან პრინციპიალური საკითხია და მისი გადაწყვეტა თვით ჯგუფის საქმეა. თუ ტეხნიკურის მოსაზრებით შეუძლებელი ხდება შეკითხვა სარაიონო ჯგუფებისა, თვით ცენტრალური ბიურო იმდენად პასუხისმგებლობას მაინც უნდა ჰგრძნობდეს, რომ არ დაადგეს ისეთს გზას, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება როგორც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის პოზიციას, ისე მის პროგრამას. ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფს შეუძლიან შეთანხმება მხოლოდ ისეთ ჯგუფთან, რომლის პროგრამაც იდენტიურია ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის პროგრამისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიურო დანაშაულობას ჩაიდენს და პასუხსაც აგებს ჯგუფის წინაშე ამ დანაშაულობისათვის.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალურ ბიურო სამუდამოდ უარჰყოფს აზრს შეთანხმებისას ისეთს საზოგადოებრივ ჯგუფებთან, რომელთანაც არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, შეცდომებს თავი დაეღწიოს თუ არსებითად არ შესცვალა გეგმა თავის მოქმედებისა სახმოსნო კანდიდატების გამოძებნის დროს. ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი შესდგა არა ამ მიზნით, რომ გაყვანილ იქმნას ხმოსნებად განსაზღვრული რიცხვი ქართველებისა, რაცა უნდა დაუჯდეს ეს. ჭეშმარიტ რუსებთან შეთანხმება საშუალებას მისცემდა უფრო

მეტი ხმოსანი გაიყვანა ქალაქის საბჭოში, ვიდრე დღევანდელ პირობებში გაიყვანს, მაგრამ ძვირად დაუჯდებოდა ქართველებს ეს სამარცხვინო გამარჯვება, ეს იქმნებოდა სრული ზნეობრივი გაკოტრება, და ზნეობრივად დამარცხებულ ჯგუფის გამარჯვება სრულ დამარცხებაზე უარესია.

ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის შედგენის ერთად-ერთი აზრი ის იყო, რომ ქართველი ამომრჩეველნი, რომელნიც დღემდის გულ-გრილად უცქეროდნენ საქალაქო საქმეებს, დაინტერესებულიყვნენ, მიეღოთ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო ბრძოლაში, რადგანაც სისტემატიური აქტიური მოქმედება ჰქმნის სათანადო ეროვნულ თვით-ცნობიერებას. მრავალ-რიცხოვანობა ქართველ ხმოსნებისა საბოლოვო მიზანი არა ყოფილა ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფისა. ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის დაარსებით ქართველებს მხოლოდ ის უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ, როგორც განსაზღვრულ ეროვნულ ინდივიდუუმს, სრული ზნეობრივი უფლება აქვთ შესაფერი ადგილი დაიჭირონ ქალაქის თვითმმართველობაში. ეს შეგნება, ეს განმტკიცება ეროვნულ თვით-ცნობიერებისა ერთი უმთავრესი მიზანთაგანი იყო ქართველ ამომრჩევლებისა. ეროვნული იდეა ჩვენში დღემდის მხოლოდ თეორეტიულ მსჯელობაში ისახებოდა. საჭირო იყო, რომ ეს იდეა პრაქტიკულ სისტემატიურ მოქმედებაში გამოსახულიყო ცხოვრება დაუსრულებელი ასპარეზია ამის გამოსახატავად. თეორეტიული აღიარება ეროვნულ იდეისა და სრული გამოსახულება ამ იდეისა განსაზღვრულ პრაქტიკულ ფორმებში უმთავრესი საჭიროებაა დღევანდელ მომენტისა. ეს პროცესი ბევრგანა სჩანს. მრავალ-მხრივია პრაქტიკული ცხოვრება, დიდი დიფერენციაცია არსებობს იმ საქმეებისა, სადაც ეროვნული იდეა პრაქტიკულ ფორმებს იღებს, მაგრამ ჯერ არ არსებობს სინტეტიური შედუღება ყველა ამ ფორმებისა ერთს მთლიან ორგანიულ ინდივიდუალობად. ეს სინტეზი შემდეგში მოხდება. დღეს კი ჰსწარმოებს პროცესი ეროვნულ იდეის გამოსახვისა კონკრეტულ პრაქტიკულ ფორმებში. ტფილისის დღევანდელი საქალაქო არჩევნებიც ერთი ამ პრაქტიკულ ფორმებთაგანია. მხოლოდ ამ მხრით არის იგი საინტერესო და ამ თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ მას.

ტფილისის ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ბიურო კი თავისი მოქმედებით ამტკიცებს, რომ ეს უმთავრესი დებულება ვერ გაუთვალისწინებია. იგი ვერ გასცილებია იმ ვიწრო მოსაზრებას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ქართველი ხმოსნის არჩევა. ბიუროს მოქმედება გაშუქებული არ არის ზემოხსენებულ პრინციპიალურ დებულებით და ამიტომ აკი უსინათლოსავით დადის. ესეც რომ არ იყოს, მხედველობაში რომ არ მივიღოთ ეს ღრმა დასაბუთება ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის შედგენის საჭიროებისა, ბიურო მაინც კარგად ვერ იქცევა. ბიურომ უნდა იხელმძღვანელოს არა იმ მოსაზრებით, რომ რაც შეიძლება მეტი ხმოსანი გაიყვანოს, არამედ მხოლოდ იმით, რომ ქართველი ამომრჩეველთაგან არჩეულ იქმნენ ისეთი ხმოსნები, რომელნიც პროგრამის განხორციელებაზე იზრუნებენ. ის გზა კი, რომელიც ცენტრალურ ბიუროს აურჩევია, ისეთი სახიფათო გზაა, რომელიც საბოლოვოდ შეუსაბამო კომბინაციებამდე მიიყვანს.

ბიურომ უნდა შეიმუშავოს დამოუკიდებლად, სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან შეუთანხმებლად, თუ, რასაკვირველია, შეთანხმება იდენტიურ საარჩევნო ჯგუფთან ვერ მოხერხდა, თავისი საკუთარი სია ხმოსნებისა და ამ სიით გამოვიდეს საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე. ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი ვალდებული გახდება მხარი დაუჭიროს მხოლოდ ამ სიას, მიუხედავად იმისა, მოსწონთ სხვა ჯგუფებს ეს სია თუ არა. თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები წინააღმდეგობას გაუწევენ ამ სიას, თუ ეტყვიან ქართველ ამომრჩევლებს, რომ მათ მიერ დასახელებულ კანდიდატებს ნდობას არ უცხადებენ, მაშინ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის უკანასკნელი საქმე ის იქნება, რომ შავი კენჭები ჩაუყაროს ყველას, გარდა თავის კანდიდატებისა. მართალია, ეს დამარცხება იქნება, მაგრამ დამარცხება პატიოსნური. ქართველი ამომრჩეველნი კი დარწმუნდებიან, რომ ყვირილი ერთა სოლიდარობაზე საზოგადოების ერთის ნაწილის მიერ მხოლოდ ფუჭი სიტყვა ყოფილა. იგი დაინახავს მაშინ, რომ არჩევნების დროს ჰმოქმედებს მოუხეშავი ძალა უმრავლესობისა...

---

ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც გავიგეთ, რომ ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს გადაუწყვეტია შეუთანხმდეს რუს მემარჯვენე ელემენტებს. როდესაც ეს გამოირკვა, ბიუროს წევრებმა **გრ. ხ. რცხილაძემ, გარლამ ლევანის ძე გელოვანმა და კ. ტყაბლაძემ** განაცხადეს, რომ თავს ანებებენ ბიუროს.

# ერთა სოლიდარობა

1.

დიდი და სერიოზული საკითხია მოწესრიგება ურთიერთობისა იმ ერთა შორის, რომელნიც მეზობლად სცხოვრობენ, მომწყვდეულები ერთ სახელმწიფოს ფარგალში. ვინც სცდილობს ამ საკითხის დიდმნიშვნელობის გაქარწყლებას, ერთა სოლიდარობის საქმეს ცუდ სამსახურს უწევს. ჩვენში, მაგალითად, ჯერ კიდევ იმდენად განუვითარებელია პოლიტიკური აზროვნება, რომ ყოველი სურვილი ერთა შორის ურთიერთობის განსაზღვრულ ფარგალში ჩაყენებისა, დაგმობილია და მონათლულია, როგორც შოვინისტური და პროგრესის წინააღმდეგი მიდრეკილება. ჩვენში ფაქტს ფაქტად ვერ აღიარებთ. ჩვენ ჯერ ვერ გაგვიგებნია იმ აზრის აღიარება, რომ ერთა შორის ქიშპობა ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა. საქმე ის კი არა არის, რომ ეს ქიშპობა დავმალოთ და დავფაროთ. თავი და თავი ის არ არის, რომ ამ ქიშპობას ველური და ბარბაროსული ელემენტები ავაცალოთ და კულტურული მივანიჭოთ. ჩვენთვის არც ისტორია არსებობს, არც სხვა ხალხთა და ერთა თავგადასავალი და გამოცდილება.

სოლიდარობის გრძნობა იბადება იქ, სადაც თანაბარუფლებიანობა სუფევს. პატივისცემა პიროვნებათა შორის, სულერთია ეროვნულია იგი პიროვნება, თუ კერძო. მაგრამ თუ მე პიროვნებამდე ვერ ავმაღლდი, სხვისი პატივისცემის იმედი არ უნდა მქონდეს. ერი, რომელსაც თავისი თავისა არა სწამს რა და რომელიც ვერ ამაღლებულა პიროვნებამდე, სხვისი წყალობის მოლოდინში ნუ სქნება. ვინც თითონ არ იცავს თავის ღირსებას, მისთვის თავს არავინ გამოიდებს. „ჩათლახ“ ადამიანს დერეფანში არავინ შემოუშვებს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგება სახარების იდეალს. მაგრამ ცხოვრების კანონი ერთია, სახარების კიდევ მეორე. ამ გარემოებას ვერავინ შესცვლის. და თუ ჩვენ, ცხოვრების შვილნი, სახარების წაქეზებით, სხვისი თანაგრძნობისა და სიყვარულის იმედით ვიქნებით, მალე გაგვიცრუვდება ეს იმედი.

ერთა შორის ურთიერთობა სენტიმენტალურ გრძნობით არ ისაზღვრება. მჩაგვრელ ერში შეიძლება კეთილის მოსურნენიც ერივნენ, იმისთანანიც იყვნენ, რომელნიც თავისიანებში ძმობასა და ერთობას ჰქადაგებენ და სხვის ღირსებისა და ინტერესების პატივცემას ასწავლიან, მაგრამ უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ ამ ქადაგებას არავითარი ნაყოფი არ ექმნება იმ დრომდე, სანამ ჩაგრული მხარე თვითონ არ მოინდომებს თავის პიროვნების დაცვას და სანამ იგი თავის სიმტკიცით თვითონ არ დაიმსახურებს სხვის პატივცემას.

ამას წინად სომხურ „მშაკში“ სოლიდარობაზე იყო ლაპარაკი. გაზეთი გვარწმუნებდა, რომ იგი ყოველთვის ურჩევს სომხებს ქართველების ინტერესები მიიღონ მხედველობაში. აი, მაგალითად, საქალაქო არჩევნების საკითხი. ხომ ქართველებსაც ჰყავთ ღირსეული და საქმის მცოდნე მოღვაწენი და სომხები, რომელნიც ამომრჩეველთა სიაში უმრავლესობას შეადგენენ, ამ ქართველებს თეთრი კენჭი უნდა ჩაუგდონონ. ერთი სიტყვით, „მშაკის“ სურვილი ის არის, რომ ქალაქის საბჭოში ღირსეული პირნი შევიდნენ, განურჩევლად ეროვნებისა.

მართალი გითხრათ, მე არ მჯერა, რომ ამ ხასიათის ქადაგებამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს. არავითარი უფლება არა მაქვს „მშაკის“ გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. ხოლო უნდა ვსთქვა კი, რომ მოწყალეობიდან წარმომდგარ ერთობასა და სოლიდარობას მაინც და მაინც დიდი ფასი არ უნდა ჰქონდეს. თუ ქართველებს ღონე არ შესწევთ საკუთარის ინიციატივით და ენერგიით მიიღონ ის, რაც მათ ესაჭიროებათ, ამა თუ იმ გაზეთის სენტიმენტალურის მოწოდებით მათ არა შეემატებათ რა. გაზეთის მოწოდება ცხოვრებისა და ისტორიის კანონს ვერ შესცვლის. და ეს კანონი გვასწავლის იმას, რის შეგნებაც არა გვსურს: თუ ერი არა სცემს პატივს თავის თავს, მას არავისი პატივცემის იმედი არ უნდა ჰქონდეს. თუ ერს არ ძალუძს თავისი უფლების მოპოვება და დაცვა, არავინ მისცემს ამ უფლებას და მის დარაჯად არავინ დადგება. სოლიდარობა თანასწორუფლებიანთა შორის არის შესაძლებელი. ერი ერს ჩასწიხლავს, როდესაც ერთი ამ ერთაგანში „ჯაგლაგია“, მეორე კი—მხნე და გამჭრიახი. ერი ერს დაუმეგობრდება, როდესაც არც ერთს არ ექნება საშუალება ერთი ერთმანეთის დაჩაგვრისა.

ამგვარად, თავი და თავი საგანი ის არის, რომ ერთა ურთიერთობა ჩააყენოთ იმგვარ პირობებში, როდესაც თვითეულ ერს საშუალება მოესპობა ერთმანეთის დაჩაგვრისა. გამოძებნა და გამორკვევა ამ პირობებისა არის შინაარსი ეროვნულ პრაქტიკულ პოლიტიკისა.

აი, ამ საგანზე ლაპარაკი ითვლება ჩვენში შოვინისტურ და რეაქციონურ მისწრაფებად. რაკი ეროვნული ანტაგონიზმის არსებობა უარ-ყოფილია, უარ-ყოფილი იქნება, რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც მიმართულია ამ ანტაგონიზმის კულტურულ კალაპოტში ჩაყენებისათვის. რაკი აღიარებულია, რომ ჩვენებური ეროვნული ქიშპობა სომეხ-ქართველ სოვდაგართა ქიშპობაა და სხვა არაფერი, დამცირებული იქნება, რასაკვირველია, ყოველი ცდა ამ საკითხის მოწესრიგებისა, რადგან იგი ცდა განმარტებული იქნება, როგორც მოსარჩლეობა ამა თუ იმ ერის სოვდაგართა ჯგუფისა. ასეთ უმწეო მდგომარეობაშია ჩვენში შეგნება იმ სოციალ-პოლიტიკურ წრისა, რომელშიაც ვცხოვრობთ.

ჩვენდა საბედნიეროდ, ერთი ნუგეში და გვაქვს. ჩვენს დაბრმავებულ მდგომარეობაში სხვა ერნიც ყოფილან, ყოფილან. ხოლო ამ დაბრმავებიდან გამოსულან და ეხლა ჰფიქრობენ ასე თუ ისე მოაწესრიგონ გამწვავებული ურთიერთობა ეროვნებათა შორის. მას შემდეგ, რაც ავსტრიის ერებში ეროვნულმა შემეცნებამ გაიღვიძა, ამ ერთა შორის გაჩაღდა მკაცრი ბრძოლა. ეროვნესთა შორის ბრძოლას ავსტრიაში ძალ-უფლობის დაპყრობის ბრძოლის ხასიათი აქვს. ყოველი ერი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გავლენა იქონიოს ძალ-უფლობის ორგანოებზე, რათა ამ გავლენის საშუალებით თავის ერს გამოსტყუოს ესა თუ ის უპირატესობა. რვა ერი იმის ცდაშია, რომ ერთმანეთს სამარე გაუთხარონ და სხვის უბედურობაზე თავისი კეთილდღეობა ააგონ. ბოლოს, როგორც იყო, მიხვდნენ, თუ რა საშიშ გზას დაადგნენ. და უნდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ახალ გზის მაჩვენებელი და ანტაგონიზმის მორიგების მქადაგებელი ავსტრიის სოციალ-დემოკრატია გამოვიდა. „პოლიტიკურად დამწიფებულ მუშა კლასის ინტერნაციონალიზმი,—ამბობს ოტტო ბაუერი,—დღეს სრულიად სხვა რამეა, ვიდრე გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმი პროლეტარიატის ახალ გაზდობის ხანისა. მუშათა კლასი ზურგს აღარ უბრუნებს ეროვნებათა სხვა და სხვაობას, ამ ფაქტს, რომელიც გამოცდილებით არის დადასტურებული და ეროვნება მისთვის „ბურჟუაზული ცრუ მორწმუნოება“ აღარ არის, ცრუმორწმუნეობა, რომელიც ვითამ აფერხებს კაცობრიობის განთავისუფლებასო“, (**Національный вопросъ и соціалъ-демократія**, გვ. 324).

ახალი რა შეიტანეს სოც.-დემოკრატულმა მწერლებმა ამ საკითხის გარკვევაში? რათა ავსტრიის სახელმწიფო არ დარღვეულიყო განზე გამწევ ერთა წყალობით და რათა თვითეულ ერს ჰქონოდა მინიჭებული კულტურულ განვითარებისთვის საჭირო პირობები, მათ წინაშე წარმოსდგა ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი. საჭირო არის, მათის აზრით, ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა შორის მომწესრიგებელ უფლების შექმნა (**внутригосударственное международное право**).

წინად გვქონდა აღნიშნული ის გარემოება, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ მიგვაჩნია ერთად-ერთ შესაძლებელ გადაწყვეტილებად. ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითად, სხვა გვარადაც იყო დასმული საკითხი. Bâton იც მომხრე იყო ერთა შორის უფლების შექმნისა, ხოლო ეს უფლება, მის განმარტებით, ინტრა-სახელმწიფოებრივ კი არ უნდა იყოს (**внутригосударственное**), არამედ ინტერ-სახელმწიფოებრივი (**между государственное**. Bâton-ი თვითეულ ერს ანიჭებდა სახელმწიფოებრივ. ფუნქციებს და ამგვარად თანამედროვე სახელმწიფოთა შორის უფლება ერთა შორის უფლებად ხდებოდა. ეს უკიდურესი, რადიკალური გადაწყვეტა ეროვნულ პრობლემებისა იურიდიულ ნორმების საშუალებით. ჩვენ ეხლა არ შევალთ ამ საგნის გარჩევაში. ვიტყვით კი იმას, რომ ამ ორ მიმართულებათა შორის შეიძლება იქმნეს წამოყენებული მესამეც, რომელშიაც მორიგებულია თითქოს საკითხის ორგვარი მიდრეკილება. ეს მესამე აზრი, აღიარებს რა იგი ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა შორის უფლების შექმნის საჭიროებას, ამასთან ყოველ ერს ერთტიპის ავტონომიას არ ანიჭებს. აქ შესაძლებელია, გარემოების მიხედვით, კულტურულ-ნაციონალურ და ნაციონალურ-ტერიტორიალურ ავტონომიათა კომბინაციების წამოყენება. მაგრამ დღეს ჩვენ არ გამოვუდგებით არც ამ საგნის განმარტებას.

შევდგეთ შპრინგერ-ბაუერის თვალთსაზრისზე. ის, რაც მათ აღიარეს, უკვე დიდი ნაბიჯია ეროვნებათა შორის უთანხმოების მოსპობის საქმისათვის. სხვა და სხვა ერებით დასახლებულ სახელმწიფოში ინტერნაციონალურ უფლების შექმნის საჭიროება—ეს არის პირველი სადი სიტყვა ეროვნული საკითხში. ერის აღიარება პიროვნებად და სხვა და სხვა ეროვნულ პიროვნებათა ურთიერთობის მოწესრიგება **უფლებრივი ნორმებით**, ინტერნაციონალურ უფლებით—ეს აღიარებაა ორგანული პრინციპისა, დადასტურებაა ავტონომიზმის და ფედერალიზმისა, ხოლო უარ-ყოფაა ცენტრალიზმისა და ატომიზმისა

რა კავშირი აქვს ყველა ამას საქალაქო არჩევნებთან? როგორ უნდა გადავაბათ ერთი მოვლენა მეორესთან? ქალაქი ტფილისი, ხომ საქართველოს დედა ქალაქია, ამასთან ცენტრია კავკასიის მმართველობისა და ამასთან კიდევ სხვა და სხვა ეროვნებით დასახლებული ქალაქია. სხვა და სხვა ეროვნებით დასახლებული ადგილები ამიერ-იმერეთში ბევრია, განსაკუთრებით ამერეთში. ასე რომ ეროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხი, რომელიც ტფილისში აღიძვრის, ტფილისს გარედაც ცხოველ-მყოფელი საკითხია. (ჩვენ აღარ ვახსენებთ აღმოსავლეთ კავკასიას, სადაც მსგავსს მოვლენათ ვხედავთ). თუ ეს საკითხი მოსაწესრიგებელია ტფილისში, ამგვარადვე მოსაწესრიგებელია იგი ყველგან, სადაც ერთი ერის ინტერესი შეეჯახება მეორე ერის ინტერესს. ამგვარად ადგილობრივი საკითხი საზოგადო საკითხად ხდება და მუნიციპალური პრობლემა ეროვნულ პრობლემის ნაწილად.

ჩვენ ეხლა გასარკვევ საგანს მიუახლოვდით და დანარჩენი იყოს შემდეგ წერილში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

(გაგრძელება).

**გამენსკი.** 17 ოქტომბრის კავშირის ფრაქცია გაეცნო რა კანონ პროექტს და მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა, კანონ პროექტის საფუძველს შეუმცდარად და სამართლიანად აღიარებს და აცხადებს, კანონ-პროექტის სრულიად ვემხრობით.

**დიახნაცკი.** კანონ-პროექტს კანონმდებლობის აქტად კი არა სთვლის, არამედ ძლიერის სუსტთან ბრძოლად. იგი რუსის ხალხის ინტერესებსა და ფინლინდიელების სურვილს ეწინააღმდეგება. ფინების ბრალი არ არის, თუ მათ ფულის გაღებაზე უარი სთქვეს—ეს მოთხოვნა უკანონოდ იყო წარდგენილი. ახლა თავის უკანონობას მთავრობა სათათბიროს ახვევს თავზე. შრომის ჯგუფი წინააღმდეგია მუხლობრივ განხილვისა, რადგან უკანონობის პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს.

**კრუპენსკი.** რუსეთის და ფინლანდიის მცხოვრებთა რიცხვსა და მდგომარეობას ადარებს და გაწერილი ფული ძალიან მცირედ მიაჩნია. რიცხვის მიხედვით, ფინლანდიამ საერთო ხარჯის მეორმოცდაათე ნაწილი უნდა გადაიხადოს, ე. ი. 22 მილიონ ნახევარი მანეთი. ფინლანდიაში რუსეთის ჯარის ყოფნა, ოქროს შემოტანას გაამრავლებს და იქაურ კულტურასაც ხელს შეუწყობს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომრის უკანასკნელი სიტყვები ყველამ გულზე უნდა დაიწეროს და საშვილიშვილოდ მოსაგონებლად გადასცეს. რუსეთის სათათბირო ფინლანდიელებს კი არა მტრობს, რუსის ხალხის ინტერესებს იცავს.

სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს.

**ბობიანსკი.** კანონ-პროექტს უფრო პრინციპის საკითხს უწოდებს. ფინლანდიელები ყოველთვის მზად იყვნენ სახელმწიფოს დასაცავად, მაგრამ როდესაც უფლებათა წართმევა ჰსურთ, ჯერ მოვალეობას უსპობენ. ფინლანდია პირველად კუროპატკინმა და ბობრიკოვმა დაწიხლეს. პირველს რუსის ჯარი ომისთვის მზად ეგონა და მანჯურიაში დამარცხდა, მეორემ ფინლანდიაში მოქმედებით რუსეთის ისტორიის საუკეთესო ფურცელი შებღალა.

მემარჯვენენი ხმაურობენ. თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა, რის შემდეგაც ბობიანსკის წესრიგისთვის მოუწოდებს).

**ბობიანსკი** (განაგრძობს): ფინლანდიელები ყველაფერს უთმობდნენ რუსის მთავრობას, გარდა კონსტიტუციისა. კანონ-პროექტი კომისიაში არა ყოფილა, სამხედრო თვალით არ აუწონ-დაუწონიათ ფინის გაღება. მოლაპარაკე წინააღმდეგია, რომ სამხედრო ბეგარა ყველამ იხადოს და დასძენს: ყალბ გზას ვადგევართ და თუ ასე ვიარეთ, სამხედრო ბეგარა მცხოვრებთა ნახევარს მაინც უნდა მოვხსნათო.

**მარკოვი მე-2.** ფინლანდიელები ურცხვად ჰგმობენ ფიცსა და მთავრობას ეწინააღმდეგებიან. რუსის ჯარში მათი შეშვება შეუძლებელია. მათთვის 12 მილიონ მარკის მაგიერ 50 მილიონი მანეთი უნდა შეეწერათ. ფინლანდია ცალკე სამეფოდ არ უნდა ჩავთვალოთ. თუ კი ჩავთვლით, ეხლავე ჯარი უნდა გაიგზავნოს მის დასაპყრობად, რადგან 30 ვერსის მანძილზე მოსისხლე სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. მოლაპარაკე სათათბიროს ურჩევს კანონ-პროექტის მიღებას, მთავრობას კი—ამავე გზით სიარულს.

**ფედოროვი მე-2.** თუ ასე ვიარეთ, მალე დადგება დრო, რომ სამხედრო ბეგარა მხოლოდ ველიკორუსებს დააწვეს კისრად. მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა ფინლანდიელებისათვის ხელსაყრელია, რადგან პიროვნებას ჯარში გაწვევისაგან ანთავისუფლებს, (მარცხნივ ტაშს უკრავენ).

**მასლენიკოვი.** პროექტი სამართლიანად ვერა სწყვეტს საკითხს, რუსების მდგომარეობის შესამსუბუქებლად 10 ათას ფინის მაგიერ, 10 ათას რუსის გლეხის გაყვანა გამოიგონეს. საფინანსო კომისიამ რუსის გლეხი ძლიერ იაფად გაჰყიდა. თუ ასე გინდათ: გაანთავისუფლეთ 30 ათასი ებრაელი, 40 ათასი პოლონელი. მაგრამ მაგისთვის რუსეთის სახელმწიფოს ღირსების მოყვარული რუსის გლეხობა და მოქალაქენი მადლობას ვერ გეტყვიან (მარცხნივ ტაშის ცემაა).

**ვლადიმიროვი** პროექტის წინააღმდეგია.

**პოკროვსკი მე-2.** სოც.-დემ. წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისა, რადგან იგი არა კონსტიტუციური (მარცხნივ ტაშის ცემაა).

**სნეჟანსკი.** პოლონელთა კოლოს სახელით ლაპარაკობს. შეუწყნარებლად მიაჩნია სამხედრო ბეგრის ასრულებისათვის კანონ-პროექტის ზომები, თუმცა პრინციპი კარგია. კანონ-პროექტის წინააღმდეგია.

**პეტროვი მე-3** შრომის ჯგუფელთა განცხადებას კითხულობს. ჩვენ გადავწყვიტეთ კანონ-პროექტის უარყოფა, როგორც ფინების უფლებათა წართმევის სურვილისა.

**მომხსენებელი** ყველას ნათქვამს ეხება და აღნიშნავს, ბევრ მოლაპარაკეს გლეხებზე გავლენის მოხდენა სწადიანო. ვაი, თუ გაჭირების დროს ჩვენგან შექმნილი ფინლანდიელთა ჯარი პეტერბურგს მოადგეს. მაშინ მოუხდებოდათ რუსის გლეხობისთვის ეფიქრნათ და მათ კი სისხლი უნდა დაეღვარა ჩვენი შეცდომის წყალობით (ცენტრსა და მარჯვნივ ტაშს უკრავენ). ვაი, თუ ჩამომავლობამ სთქვას, ისინი ფინლანდიის ოქრომ მოისყიდა (ცენტრსა და მარჯვნივ ტაშის ცემაა).

**პოკროვსკი მე 2.** სოც.-დემ. კანონ-პროექტი არაკონსტიტუციურად მიაჩნიათ. მისი განხილვა სათათბიროს საქმე არ არის და ამიტომ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

224 ხმის უმეტესობით 107 წინააღმდეგ გადაწყვეტილია მუხლობრივი განხილვა.

კანონ-პროექტი დიდის უმრავლესობით მიღებულია კომისიის რედაქციით.

განსახილველია ფინლანდიაში ყველა რუსის ქვეშევრდომთა უფლების გათანასწორების პროექტი.

**მომხსენებელი ბენიგსენი** კანონ-პროექტის საფუძველს ეხება. 1901 წელს რუსებს ფინლანდიაში გამარჯვებულთა როლი ჰქონდათ. 1910 წელს ისინი უცხოელებად ითვლებიან და მათი უფლება შეზღუდულია. ამ საქმის მოგვარება ახლა შეიძლება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა გარკვეული პასუხია ყველა იმისა, რაიცა ამ თვე ნახევარს ყველას აწუხებდა. რუსეთის ნაციონალური პოლიტიკა ხელშეუხლებელია, რადგან მას მთელი ხალხი და მისი წარმომადგენელნი ჰქმნიანო.

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კვირას 30 ოქტომბერს,** შუადღის 12 საათზე ტფილისში **გარდაიცვალა ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე.**

✦ გასვენებულის **ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძის** სულის მოსახსენებლად, გუშინ, გაკვეთილების შემდეგ, ქართულ გიმნაზიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: კომიტეტის წევრნი, პედაგოგიური საბჭო და ყველა კლასის მოწაფეები.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად** გენერალი როოპი დანიშნა.

✦ **კახეთის რკინის გზის** გაყვანას მომავალ გაზაფხულს შეუდგებიან. მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად ინჟინერი რაციბორსკი დანიშნა.

✦ ნამესტნიკმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმად რიყის ქუჩას 19 თებერვლის ქუჩა უნდა დაერქვას.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** 3 ნოემბერს პეტერბურგს მიემგზავრება უწმ. სინოდის კრებებში მონაწილეობის მისაღებად. მის მოადგილედ ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი იქმნება.

✦ **ქალაქის ხარჯთაღრიცხვა.** დღეს ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის შეერთებული კრება მოხდება ქალაქის 1912 ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განსახილველად.

✦ **მუნიციპალურ მუზეუმს** ნ. გ. მირიმანოვმა, სხვათა შორის, შესწირა ქართულ ენაზე დაწერილი აქტი 1733 წლის იოსებ ბუგულოვის მამულის გაყოფის თაობაზე. აქტს ხელი მოწერილი არა აქვს. სამაგიეროდ ბეჭედი აზის.

✦ **ინჟინერი ქურდიანი** უკვე დაბრუნდა მოწამეთის მონასტრიდან, სადაც წყალსადენი გაიყვანა. წყალსადენის გაყვანა მონასტერს 1,700 მან. დასჯდომია.

✦ **„ახალ ჯგუფის“ ამომრჩეველთა** ბიურომ დაადგინა, არავითარი კავშირი არ დაიჭიროს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფთან.

✦ ჩვენ ხრონიკაში აღვნიშნეთ, რომ **თავ. ი. ე. ვაჩნაძემ**, გამოიგონა ახალი ჩულქები, რომელიც ფეხის ოფლსა სპობს. მასვე გამოუგონია სავარძელი დამბლებისათვის რომელიც უბენზინოდ, უელექტრონოდ და საერთოდ ყოველი გარეშე ძალის დაუხმარებლად მოძრაობს, ტეხნიკური მოწყობილობის წყალობით. გამომგონელს პეტერბურგში ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ პატენტი მისცენ. რწმუნებულობა პეტერბურგელ პროფესორს სკორედენკოს უკისრნია. მაგრამ სამინისტრომ მოსწერა, რომ პირადათ დასწრებაა საჭირო და ამის გამო ვაჩნაძე გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ **ტფილისის ბირჟაზე** გუშინ შემდეგი ვაჭრობა მოხდა: მოითხოვეს 50% ობლიგაციები ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა. გამყიდველები იძლეოდენ 85 მან. მყიდველები კი—84 მან. 50 კაპ., ტფილისის სათ.-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები ფასობდა 84 მან. 75 კაპ. ყიდულობდნენ 84 მან. 25 კაპ., ქუთაისის სააღ. მამ. ბანკისა: ფასობდა 82 მან. 75 კაპ. ყიდულობდნენ 82 მან. 30 კაპ.

✦ რადგანაც ტფილისში ცეცხლის წაკიდება ძლიერ გახშირდა და ცეცხლის ჩაქრობისათვის კი ყველა საჭირო ზომები ქალაქს არ მოეპოვება, ამის გამო ტფ. გუბერნატორმა საჭიროდ სცნო პოლიცმეისტერის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია მოიწვიოს, რომელიც **შეიმუშავებს ცეცხლის ჩაქრობის ზომების** გასაუმჯობესებელ გეგმას.

✦ გუშინწინ ე. ა. პონდოევმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, გამოარკვიონ ვაკეში მდებარე სამოსახლო ადგილების ქალაქზე მიწერის საქმე (3109 ოთხკ. საჟენი).

✦ გუშინ ქალაქის მოურავმა **„სწრაფ მშველელ“** ბიუროს მიმართა თხოვნით, რომ ყოველდღე წარუდგინონ მას ბიულეტენი „სწრაფ მშველელ ეტლის მოძრაობის და ბიუროს მოქმედების თაობაზე.

✦ შაბათს, 29 ოქტომბერს, **გ. ნ. ყაზბეგის** თავმჯდომარეობით წ. კ. გამავრ. საზ. გამგეობის კრება შესდგა; კრებამ დაადგინა: გიორგი წმინდის სკოლას მიეცეს ოთხ თუმან ნახევარი თხოვნაში მოხსენებულ ნივთების სასყიდლად იმ თანხიდან, რომელიც თავ.-აზნაურობამ შემოსწირა სკოლებში დასარიგებლად გლეხების განთავისუფლების 50 წლის აღსანიშნავად. დიდ გომარეთის სკოლის მასწავლებელს უფლება მიეცეს უფასოდ დაარიგოს ორმოცდა თოთხმეტი მანეთის წიგნები და ნივთები; ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას უღრმესი მადლობა გამოეცხადოს ილია ჭავჭავაძისეულ ს. ყვარელის მამულის შემოწირვისათვის. ლ. ყიფიანის თხოვნის მიხედვით, ს. ჭრელოლის სოფლის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს უსასყიდლოდ 18 მან. 11 კაპ. წიგნები გაეგზავნოს და სხვა. შემდეგი კრება მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე.

✦ დეპეშათა სააგენტო იუწყება; ზუგდიდში დილის 4 საათზე **მიწისძვრა** **იგრძნეს**.

✦ 29 ოქტომბერს ტფილისში 75 **უმუშევარს** შეიმჩნეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა 29 ოქტომბერს მოხდა ბ-ნ ლომბატინსკის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის ამხანაგებად არჩეულ იქმნენ პროფ. ხარიჩკოვი და ა. ი. ხატისოვი. ხაზინადრად არჩეულ იქმნა ბ-ნი ალადადოვი. გადაწყდა კომიტეტის წევრებისგან სამეურნეო - კომისია შეადგინონ. კომიტეტი 14 სექციად დაიყო.

✦ გუშინ-წინ, „განათლების“ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება მოხდა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა გამგეობის 1910 წლის მოღვაწეობის ანგარიშები, 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და შემდეგ შეუდგა არჩევნებს. კენჭის ყრით ერთხმად არჩეულ იქმნა ძველი გამგეობა: თავმჯდომარედ ან. მიხ. თუმანიშვილი-წერეთლისა: თანაშემწედ—კნ. ნ. პორ. ბარათაშვილისა, გამგეობის წევრებად: ეკ. გრ. მესხისა, ვ. დ. მიქაძერიძისა, ე. ივ. პავლიაშვილი, პ. გ. მაგრაძე, ხაზინადრად—მარ. სვიმ. დავითიანისა და მდივნად გამგეობისა ა. ა. ფალავასი. კანდიდატებად: ქ. პ. სარაჯიშვილისა და ა. ქურდიანისა. სარევიზიო კომისიის წევრებად: ქ. ნ. უგრელიძე, ბ. გ. ქურდიანი და ბ. ბაქრაძე.

✦ ჩვენი მსახიობ მ. საფაროვ-აბაშიძის მოღვაწეობის აღსანიშნავი საიუბილეო კომიტეტი უკვე შეუდგა მოქმედებას. უკვე ორი კრება მოხდა. უკანასკნელ კრებაზე გადასწყდა: დაიწეროს მ. საფაროვის მოკლე ბიოგრაფია და დაიბეჭდოს. ბიოგრაფიის შედგენა ვ. ლ. გუნიას მიენდო. ეთხოვოს ქართულ და რუსულ რედაქციებს დაბეჭდონ შესაფერი წერილები, რათა საზოგადოებას და უმთავრესად ახალგაზდობას გააცნონ მსახიობის მოღვაწეობა. იუბილეი 1912 წლის 22 იანვარს გაიმართება. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს კნ. ან. მაჩაბლისა, საიუბილეო დღესასწაულის თავმჯდომარედ—აკაკი: დღესასწაულის მთავარ გამრიგედ—ნ. ქართველიშვილი; საზოგადოებისადმი მისამართავი წერილის შედგენა ი. ზურაბიშვილს მიენდო; პრესაში საკითხის აღძრა და გავრცელება—ნ. ყიფიანისას.

ვლ. ალ. მესხიშვილს, ვ. გუნიას და კ. მესხს მ. საფ.-აბაშიძის ქალთან ერთად საიუბილეო წარმოდგენის გეგმის შემუშავება დაევალა.

## სასამართლო.

✦ გუშინ ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე პირველ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფედ ნამყოფის პეტრე ყაზარიანცისა. მას ბრალად ედებოდა, რომ ღამით ჩოხაში ჩაცმული თავის მასწავლებელს ბინაზე მიეჭრა და მუქარით თემის გამოტყუება უნდოდა. სასამართლომ ყაზარიანცს 2 ნახ. წლის ციხე გადაუწყვიტა.

## † ნიკოლოზ ზებედის ძე ცხვედაძე

ჩვენმა ქვეყანამ ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე შესანიშნავი მოღვაწე დაჰკარგა. ა ახლაც უწყალო სიკვდილმა მოულოდნელად გამოგვტაცა ხელიდან ერთი საუკეთესო საზოგადო მოღვაწე, მხცოვანი პედაგოგი ნიკოლოზ ზებედის ძე ცხვედაძე.

განსვენებულის მოღვაწეობა სხვა და სხვა გვარი ხასიათისა იყო: იგი არ იყო არც შესანიშნავი მწერალი და არც ქველმოქმედი,—მან თავისი სიცოცხლე და ძალ-ღონე შესწირა და შეალია ქართველი ხალხის განათლების საქმეს. მაგრამ მისი მოღვაწეობის ვრცელ აღწერას დიდი დრო და შრომა უნდა, ამიტომ ეხლა ჩვენ გვინდა მხოლოდ გავაცნოთ საზოგადოებას მოკლედ მისი ვინაობა და ცხოვრება.

ნიკოლოზ ცხვედაძე იყო სოფლის მღვდლის შვილი. იგი დაიბადა 1845 წ. იანვრის 15, სოჯინაში (ცხინვალის ხეობა). შემდეგ მისი მამა ზებედე კავთისხევში გადაიყვანეს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო შინ, მამისაგან. შემდეგ მიაბარეს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში; ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ მიიღეს სასულიერო სემინარიაში. იქ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და ამიტომ ჯერ კიდევ ერთი წლიწადი უკლდა კურსის დამთავრებას, როცა იგი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაგზავნა მთავრობამ სახელმწიფო ხარჯით.

აკადემიის დასრულების წინ 1871 წ. გაემგზავრა დროებით პეტერბურგში იმ მასალის შესაკრებად, რომელიც საჭირო იყო მისთვის დისერტაციის დასაწერად. აკადემია დაასრულა ღვთისმეტყველების კანდიდატების ხარისხით და მთავრობის განკარგულებით დაინიშნა ტფილ. სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. ეს ის დრო იყო, როცა მასთან ერთად სემინარიაში მოღვაწეობდნენ ჩვენი სახელოვანი პედაგოგები ი. გოგებაშვილი, გ. იოსელიანი და თ. ტურიაშვილი. სემინარიაში განსვენებულმა კეთილის მიმართულებით, ნათელის შეხედულებით და წყნარის ხასიათით ყველას შეაყვარა თავი, როგორც მოწაფეებს, ისრე ამხანაგებს. მაგრამ იმ უკულმართი რეაქციის გამო, რომელიც იმ დროს გამეფდა ხსენებულ სასწავლებელში, მთავრობამ განსვენებული სამსახურიდან დაითხოვა.

შემდეგ ამისა დიდი ხანი არ გასულა, როცა მან მიიღო ტფ. ქალთა ინსტიტუტში ისტორიის მასწავლებლის ადგილი. იქ იმ დროს ინსპექტორად იმყოფებოდა ღირსსახსოვარი პედაგოგი ბესარიონ ღოღობერიძე. ინსტიტუტში განსვენებულმა ნ. ცხვედაძემ 25 წ. დაჰყო და იქაც დიდი სიყვარული დაიმსახურა მოწაფეთა შორის; აქვე მიიღო სამაგალითო დიდი პენსია და სამსახურს თავი დაანება. მასწავლებლობის დროს ქალთა ინსტიტუტში მან ჯვარი დაიწერა შეძლებულ სომხის კარგანოვის ასულზე და საზღვარ გარედ წავიდა; იქ მან კარგა ხანი დაჰყო და ბევრი საყურადღებო წერილი დასტამბა გაზ. „ივერია“-ში. ერთს დროს განსვენებული მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჟურნალ „კრებულ“-ში, რომელიც ბატ. ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოდიოდა ტფილისში.

ძლიერ დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს ჩვენი წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის დაარსებაში და აღორძინებაში. იგი იყო ერთი უმთავრესი დამფუძნებელთაგანი ხსენებულ დაწესებულებათა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმათ წესდების შედგენაში. შემდეგაც განსვენებული ორივე დაწესებულებას სათავეში უდგა და დაუღალავად შრომობდა. მართალია იგი ორთავე დაწესებულების კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად იყო, მაგრამ შრომით თვითონ იყო ნამდვილი თავმჯდომარე, რადგან სათავად-აზნაურო სკოლის კამიტეტს თავმჯდომარედ ჰყავდა მოხუცი გენერალი, განსვენებული ვ. მამაცაშვილი, ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე იყო განსვენებული პოეტი ი. ჭავჭავაძე, რომელსაც სხვა მრავალი რთული საქმეები ჰქონდა ხელში და ამიტომ კომიტეტის კრებებს იშვიათად ესწრობოდა.

ყველა საჭირო და სერიოზულ ქაღალდების შედგენას თვითონ კისრულობდა განსვენებული ნ. ცხვედაძე, და უიმისოდ არც ერთი ძნელი საქმე არ გაკეთებულა.

მაგრამ განსვენებულის ყველაზე უფრო დიდი მოღვაწეობა არის ის სამაგალითო და დაუღალავი შრომა რომელიც, მან ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომის აგებაში გასწია. ამ საქმეში მას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა, ბევრი უსიამოვნება აიტანა, მაგრამ მისმა საქმისადმი სიყვარულმა, ენერგიამ და მეცადინეობამ ყოველგვარი დაბრკოლება სძლია და, თუ დღეს ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიას სამაგალითო საკუთარი სადგომი აქვს,—ეს განსვენებული ნიკოლოზ ცხვედაძის უმაგალითო მოღვაწეობის ნაყოფია.—ეს უდიდესი და იშვიათი მისი ღვაწლი მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენს თავად-აზნაურთა განათლების ისტორიაში.

ყოველივე ჩვენს ნათქვამს ისიც უნდა დაუმატოთ განსვენებული წ. ცხვედაძის დასახასიათებლად, რომ იგი იყო თავდაბალი, მშვიდი, სიმართლის მოყვარე და ძლიერ გაურბოდა პირად დიდების მოხვეჭას. ექვსის წლის წინად იგი წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე იქმნა საპატიო წევრად ამორჩეული ხანგრძლივ და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ამხანაგო და მეგობარო ნიკო! **ვ. ი.**



† ნ. ზ. ცხვედაძე
1845—1911 წ.

ქართველმა საზოგადოებამ, ისედაც ღარიბმა მოქმედი წევრებით, საუბედუროდ დაჰკარგა სამაგალითო მოღვაწე, რომელიც შემკული იყო არა-ქართული ენერგიით და მხნეობით. კვირას შუადღისას გარდაიცვალა ყველასაგან ცნობილი ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე. მის გვარეულობაში ოთხმოცის წლის სიცოცხლე ხშირი იყო. მან კი სამოც წლამდინაც ვერ მიაღწია, თუმცა აგებულობა მასაც ოთხმოცის წლის სიცოცხლეს აღუთქვამდა. მიზეზი ასეთის დღის მოსწრაფებისა გახლდათ საზოგადოებრივი. ათის წლის წინად ეს მხნე ქართველი შეუდგა დიდს საქმეს—სასახლის აშენებას ქართულ სათავად-აზნაურო გამნაზიისათვის. დაბრკოლება მრავალი აღმოუჩნდა. ამ დაბრკოლებათა ძლევას განსვენებულმა შეალია თვისი ჯან-ღონეც, გონებისა და ნერვების ძალაც. სენი, რომელმაც იგი მოსტაცა ქართველობას, იყო შედეგი ამ აუტანელის შრომისა საზოგადოდ და კერძოდ იმისი, რომ ყოველ დღე მრავალის წლის განმავლობაში განსვენებული იძულებული იყო მუშაობის დროს ხშირად ასულიყო და ჩამოსულიყო ციცაბო კიბეებზე. ამ ასვლა-ჩამოსვლამ და მრავალ გვარმა უსიამოვნობამ, რომელიც მას თავზე დაატყდა, მეტად დაუზიანა გული, ეგრედ წოდებული სკლეროზი გაუჩინა, რომელიც გახდა მთავარი მიზეზი მისი უდროოდ დაკარგვისა. გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ ახლად გარდაცვალებული მსხვერპლია იმ დიდი საქმისა, რომელსაც საარაკო შეუპოვრობით აწარმოებდა და რომლითაც მან დიდი ღვაწლი დასდო ქართველ საზოგადოებას.

## ბ. ნიკოლოზ ცხვედაძის სიკვდილის გამო.

გუშინდელ „თემის“ ნომერში ძლივს მოვასწარით მოგვეთავსებინა სამწუხარო ამბავი ჩვენი დაუვიწყარი მოღვაწის ნიკოლოზ ცხვედაძის გარდაცვალების გამო. ამიტომ ყველაფერი, რაც უნდა გვეთქვა ამ ყოვლად ღირსეულ ადამიანის შესახებ უნდა გადავსდოთ სასხვიმისოდ.

ახლა გთხოვთ მხოლოდ საშუალება მომცეთ ქართველ საზოგადოებას მოვახსენო შემდეგი.

ადამიანი, რომელმაც გასაოცარი მხნეობა, საკვირველი ნიჭი და უნარი გამოიჩინა სამშობლოს სამსახურის საქმეში; ადამიანი, რომელმაც ქართველებისათვის საამაყო საქმე განახორციელა ქართულ გიმნაზიის სამაგალითო შენობის აგებით;

ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ღონე, დრო და ქონება შეალია ამას და ბევრ სხვა საზოგადო საქმეს.—

ღირსია ჩვენი საზოგადოების მხრით განსაკუთრებული ყურადღებისა...

ამიტომ, ჩვენის აზრით, ეს უანგარო მოღვაწე უნდა დასაფლავდეს საზოგადოების ხარჯით.

ამისათვის საჭიროა გაიმართოს ახლავე თათბირი სათანადო დაწესებულებათა მიერ.

თაოსნობა ამ საქმეში უნდა იკისროს, რასაკვირველია „სასკოლო საზოგადოებამ“, რომლის სათავეში მრავალ წელთა განმავლობაში უკანასკნელ დღემდე იდგა განსვენებული. **გრიგოლ დიასამიძე.**

# სპარსეთის არეულობა

## დეპეშები

### 29—30 ოქტომბერი.

**თეირანი.** მეჯლისმა გადასწყვიტა, მოიწვიოს კიდევ ათი ამერიკელი მოფინანსე მოხელე. ამ საქმისათვის გადადებულია 2,400 (?) დოლარი.

**პეტერბურგი** (ოფიციალური ცნობა). სპარსეთის მთავრობასთან ჩამოვარდნილ უთანხმოების თაობაზე პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს შემდეგი შეუტყვია: უთანხმოების მიზეზი სპარსეთის მთავრობისაგან მაჰმედ-ალის მომხრეების ქონების ჩამორთმევა იყო, კერძოდ კი მისი ძმის შაჰ-სალტანესთვისა. სპარსეთმა თავისი სურვილი შეატყობინა რუსეთს და იმანაც მოსთხოვა იმ რუსების ინტერესები უზრუნველჰყავით, რომელთაც რაიმე კავშირი ექნებათ მთავრობის მოწინააღმდეგებთანაო. ამ დღეებში შუსტერის განკარგულებით შაჰ - სალტანეს სახლს ჟანდარმები შემოერტყა მისი ქონების ასაწერად. ყველა ეს ჩვენი თეირანის კონსულისთვის არ შეუტყობინებია სპარსეთსა. რადგან პრინცს ჩვენ ბანკთან კავშირი აქვს და მისი უძრავი ქონება დაგირავებულია შიგა, რუსთა ინტერესების დასაცავად, ელჩმა მოხელეები გაჰგზავნა ჟანდარმების განსადევნად. ჟანდარმები მოაშორეს და სახლს ისევ სპარსეთის ბრიგადის კაზაკები იცავენ. შუსტერმა რომ შეცდომა დაინახა, ჩვენ ელჩს თავისი თანაშემწე გაუგზავნა და პირველად წარუდგინა კონფისკაციის მოთხოვნილება. ელჩის სიტყვით მოხელეს ამაყად ეჭირა თავი. ლაპარაკს გათავებამდე დეინტვ.-სტ. სოვეტნიკმა პოხიტონოვმა შეიტყო, ასზე მეტი ჟანდარმი ლობეზე გადავიდა, იარაღი აჰყარა მცველ კაზაკებს და განდევნა. საელჩოს მოხელეთ პეტროვმა და გილდებრანდმა შაჰ-სალტანეს სახლთან რამდენიმე სპარსელი ჟანდარმი ჰნახეს, რომელთაც თოფი მოუღერეს და სროლასაც უპირებდნენ (მოხელეთ გარკვეულად შემოესმათ „მოემზადეთო“ და ჩახმახის ჩხაკუნი), მაგრამ შემთხვევით იქ მყოფმა ბრიგადის ოფიცერმა გადაარჩინა. იმის მტკიცება, ჟანდარმებმა არ იცოდნენ ვის ესროდნენო—ტყუილია, რადგან მოხელეებს ფორმა ეცვათ.

ამის შემდეგ სპარსეთის მთავრობამ ყოველ ტრადიციის წინააღმდეგ იმპერატორის მისიას მოთხოვნილება წარუდგინა, თეირანიდან ელჩი პოხიტონოვი და ზემოხსენებული ორი მოხელე გაიწვიეთო. ეს მოთხოვნილება წერილობითაც კი იყო წარდგენილი, ორ ზედ მიყოლებულ ნოტის სახით. განიხილა რა რუსის მთავრობამ ეს საქმე, თეირანის ელჩსა და მის ხელქვეით მოხელეთა მოქმედება სწორედ და სამართლიანად აღიარა. მეორე მხრით შუსტერისა, სპარსეთის მთავრობისა და ჟანდარმერიის მოქმედების ტრადიციის წინააღმდეგი და გამძლიზიანებელი ხასიათი აღნიშნა. ლაპარაკის გათავებამდე ჟანდარმების გაგზავნა, ჩვენგან დაყენებულ კაზაკთა განდევნა, თოფის დამიზნება და ორი ნოტის გაგზავნის აღნიშვნაც საკმაოა.

მივიღებთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის ღირსებისა და სახელის მიხედვით ასეთი მოქმედება მთავრობისა შეუწყნარებელია, რუსეთის მთავრობამ იმპერატორის ელჩს დაავალა, სიტყვიერად და მეგობრულად მოელაპარაკოს შაჰის გარეშე საქმეთა მინისტრს, ორივე ნოტა დაუბრუნოს და მოსთხოვოს: 1) შაჰ-სალტანეს სახლსა და ქონებას მოაშორონ ჟანდარმები და მათ მაგიერ ბრიგადის კაზაკები ჩააყენონ, რუსეთის ქვეშევრდომთა და ჩვენი ბანკის სრულ უზრუნველყოფამდე; 2) უნდა ბოდიში მოიხადონ სპარსელების მიერ ჩვენ მოხელეთა შეურაცხყოფისთვის. მაგრამ ელჩის ასეთ განცხადებას სპარსეთის მთავრობამ უარით უპასუხა და საელჩოს წინადადება მისცა, ერთად განვიხილოთ მომხდარი ამბავი, რაიცა შეუწყნარებელია, რადგან თავის მოხელეების მოქმედების მოსამართლე და დამფასებელი მხოლოდ იმპერატორის მთავრობაა.

ამიტომ რუსეთის ელჩს მეორედ უბრძანა იგივე მოთხოვნილება წარუდგინა სპარსეთისთვის, უკვე წერილობით. თუ არ აასრულებდა, ელჩს ყოველივე ურთიერთობა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოესპო სპარსეთის მთავრობასთან და თეირნის კაბინეთთან. მაშინ რუსეთის მთავრობა თავის ინტერესების დასაცავად ზომებს მიიღებს.

**დეისტვ. სტ. სოვ. პოკლევსკ-კოზელლისაგან მიღებულ დეპეშის** თანახმად, ამ ხასიათის ნოტა 29 ოქტომბერს უკვე გადასცეს შაჰის გარეშე საქმეთა მინისტრს და ზემოხსენებული გაფრთხილებაც დასძინეს.

**თეირანი.** მეჯლისის მუშაობის ვადას, დემოკრატების მოთხოვნილებისამებრ, გაადიდებენ. რეგენტმა მეჯლისს წერილობით მიჰმართა, დამეხმარეთ კაბინეთის ჩქარა შედგენაში, თორემ თუ კრიზისი გაგრძელდა, თანამდებობიდან გადავდგებიო.

# ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები**

**28 ოქტომბერი.**

**პეკინი.** რადგან პროვინციის საკრებულონი საკონსტიტუციო პალატის მადლიერნი არ არიან, დეპუტატები ჰფიქრობენ პროვინციის დელეგატთა მონაწილეობით დამფუძნებელ კრების მოწვევა მოითხოვონ. გენერალ ჩჟან-შაოცენს ელიან პეკინში მოსალაპარაკებლად. ოფიციოზის სიტყვით, მეორე არმიის უფროსი დუან ცზუა დინჩოუსთან არის პეკინ-ხანკოუს გზაზე 9 ათასი ჯარის კაცით.

**შანხაი.** ფუჯოუს ვიცე-კოროლმა თავი მოიკლა. თათართა გენერალი დაატყვევეს. ქალაქში მშვიდობიანობაა. ვუდინფანს ჰსურს, ელჩად გამოაცხადონ. ამბობენ, აქაურ რევოლუციონერთა მეთაურებს უთანხმოება აქვთო. ეტყობა, რევოლუციონერებში სხვა და სხვა მიმართულება იარაღი და საომარი მასალა ორივე ჩნდება მხარე საზღვარგარეთიდან მოსდის.

**მუკდენი.** რევოლუციონერთა დელეგატებმა მანჯურიის ავტონომიის გამოცხადება განიზრახეს. კომიტეტის საბჭომ უარი სთქვა. გადასწყვიტეს მანჯურებმა თავდასაცავად რაზმი შეადგინონ. ამბობენ, ვიცე-კოროლს მახლობელნი ურჩევენ, ტყუილად ებრძვი რევოლუციას აასრულე ავტონომიის მოთხოვნილებაო.

**ტოკიო.** „ნიჩი-ნიჩი შიმბუნს" კაცურას აზრი მოჰყავს. იგი ამბობს ჩინეთის რევოლუციის გაჭიანურება იაპონიისთვის შეუძლებელიაო და იგი მზად არის საერთაშორისო მოლაპარაკება გამართოს არეულობის მოსასპობადო.

**შანხაი.** ჩიფუს ელჩმა ამერიკის ჯავშნოსანი „ალბანი" დაიბარა.

**პეკინი.** იუან-შიკაის ორშაბათს დილას პეკინს მოელიან. საზოგადო ორგანიზაციებმა იუან-შიკაის უნდა სთხოვონ, პეკინს საომარ ფარგალში ნუ მოაქცევო. მთავრობის ჯარი უძლურია და ქანიანის და უჩანის აღებას ვერ ახერხებს. ამბობენ, ჯარი დაიშლება, ან და ძარცვა-გლეჯას დაიწყებს, თუ ჩრდილოეთიდან სურსათი არ მიიღესო.

**ტოკიო.** „კოკუმინი" აღნიშნავს, იაპონია ჩინეთის რევოლუციას გულგრილ მაყურებლად დარჩება, ვიდრე იქ იმპერია არსებობს. თუ რესპუბლიკა გამოცხადდა, მაშინ სხვაა, რადგან რესპუბლიკა აღმოსავლეთისთვის საფრთხეა და იაპონელთა მონარქიულ პრინციპებს ეწინააღმდეგებაო. სეიუკაის პარტიის მეთაური გარემოების გასაცნობად შანხაის წავიდა. „ნიჩი-ნიჩი-შიმბუნის" სიტყვით ჩინეთში მყოფ იაპონელთა ინსტრუქტორებს, რომელთაც დიდი ხანია ჯამაგირი არ მიუღიათ, რევოლუციონერები ეპატიჟებიან.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები**

**29 ოქტომბერი.**

**სტამბოლი.** 27 ოქტომბერს ოსმალებმე იტალიელები დაამარცხეს. იტალიელებმა სამასი კაცი და (?) მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი დაჰკარგეს. ამბობენ, ავსტრიის ელჩმა პორტას იტალიის ახალი წინადადება გადასცაო.

**ტრიპოლი.** გუშინ ოსმალონი იტალიელთ აღმოსავლეთის მხრიდან დაეცნენ. პირველად სცადეს გველის მსგავს ჰაეროსტატის გაშვება „კარლო ალბერტოიდან".

ჰაეროსტატის ცნობით, აინსარას ძლიერი სროლა დაუწყეს. მტრის რაზმმა უკან დაიწია. 84 პოლკის ბატალიონმა ჰნახა დატოვებული ზარბაზნები. ამბობენ, ოსმალთა აფიცრები ამაოდ მოიწვევდნენ ტრიპოლის თემებს წმინდა ომისთვის. საავადმყოფოში ბევრი ახალგვარ ტყვიით დაჭრილი აღმოჩნდა.

**სტამბოლი.** ლუთფი-ფიკრიმ წერილი დაჰბეჭდა, ოპოზიციის საქმეს (გამწვავება?) არ უნდა, მთავრობას ნდობას გამოუცხადებს, მაგრამ იგიც უნდა ეცადოს, ოპოზიციის უკმაყოფილება აღარ დაიმსახუროსო.

**ათინა.** სამინისტროს ორგანო „პატრის" იტალიას უსაყვედურებს, შემთხვევა გქონდა ომის დასაწყისში ვე შეგემუსრა ოსმალეთის ფლოტი და ვერ მოახერხეო. ახლა-კი დაგვიწყებია შენი განცხადება ოსმალეთის ხელუხლებლობის თაობაზე და ეგეის ზღვაზე კუნძულების დაპყრობასა ჰფიქრობო. საბერძნეთი ჰგმობს ასეთ განზრახვას, მაშინ, როცა კრიტი ისევ ოსმალეთს ეკუთვნის.

**სტამბოლი.** სახელმწიფონი ირწმუნებიან, ამ პირობებში ტრიპოლის ანექსიის გამოცხადების წინააღმდეგნი ვართო.

**ბელგრადი.** „პოლიტიკა" სწერს: ბალკანეთის სახელმწიფოები დაამშვიდა იტალიის განცხადებამ, ბალკანეთში სტატუს-ქვოს დავიცავ და მხოლოდ აფრიკაში ვიომებო. თუ მართალია ეხლა გავრცელებული ხმა, რომ იტალია ბალკანეთში აპირებს ომის გადატანას, ხიოსის ალყის შემორტყმასაო,—საქმე გართულდება. ბალკანეთის სახელმწიფონი მაგალითს წაჰბაძავენ და ავსტრიაც სანჯაყს აიღებს. სერბია და ჩერნოგორია ამას ვერ მოითმენსო.

**ვენა.** სანდო გაზეთები იტალიას აფრთხილებენ, რამც და რამც ეგეის ზღვაზე არ გადაიტანო ომიო. „ნეიე-ფრეიე-პრესეს" ეჭვიც კი აქვს, შესაძლებელია ეგეის ზღვა საომარ ასპარეზად გადაიქცესო. ოსმალეთის მდგომარეობას ყველა დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება თუ შეცვლის. ავსტრია-უნგრეთს არ შეუძლიან პასიურად უყუროს ეგეის ზღვაზე ომის გადატანასაო.

ვენაში საქმის მცოდნე წრეებში ჰფიქრობენ, თუ იტალიამ ომი ეგეის ზღვაზე გადაიტანა, ისე იმოქმედებს, რომ ნეიტრალ სახელმწიფოთა ინტერესებს არა ევნოს რაო.

# სხვა და სხვა ამბავი

— პეტერბურგში სამოსამართლო პალატის სხდომაზე, რომელსაც სოციალ-დემოკრატიის პარტიის 9 წევრის საქმე უნდა განხილულიყო, ხალხის უმრავლესობას წითელი ყვავილები ჰქონდა გაკეთებული გულზე. მოიწვიეს ჟანდარმები და ხალხს ალყა შემოარტყეს. ბრალდებულებმა განაჩენის მოსმენა არ ინდომეს და სასამართლოს დარბაზიდან გაყვანილ იქმნენ ხალხი მათ ყვავილებს ესროდა. ჟანდარმებს უფრო სერიოზულ დემონსტრაციისა შეეშინდათ და ხმლები იშიშვლეს. ხალხის ნაწილი დაპატიმრეს („კასპი").

— სათათბიროს სხვა და სხვა ფრაქციებმა უკვე გამოარკვიეს თავის შეხედულება ფინლანდიის კანონ-პროექტზე, კადეტები და პროგრესისტები მის წინააღმდეგ იქნებიან, ოქტომბრისტები—მომხრენი.

— პარიზში გამოდის ბურცევის გაზეთი „ბუდუშჩეე" (მომავალი). იქ დაბეჭდილია აზეფის წერილი, ცოლისადმი მიმართული. იქ ამბობს, ახალგაზრდობაში გულწრფელი რევოლუციონერი ვიყავი, მაგრამ შეცდომა ჩავიდინეო. ეხლა არავინ მიჯერებს ამასაო. მე მინდოდა მივსულიყავი და გულწრფელად მეთქვა: აი, ეს კარგი საქმეები გავაკეთე, და აი, ჩემი სასირცხვო საქმეები. რომელი გადასძლევს? ბავშვების გულისთვის აზეფი თხოულობს რევოლუციონერთა სასამართლოს დანიშვნას. თუნდა სიკვდილი გადამიწყვიტონ, დავემორჩილებიო. ბურცევი დასძენს, ეს აღსარება ყალბიაო.

# რუსეთი

— კიევის მაზრის საერობო კრებაზე ნაციონალისტთა მეთაურმა ლუბლინსკიმ წინადადება შეიტანა, საერობო სკოლებში მიღების დროს ებრაელთა რიცხვი განვსაზღვროთო. თვითმმართველობის თავმჯდომარემ დემჩენკომ და რამდენიმე გამოჩენილმა ხმოსანმა ამის გამო პროტესტი განაცხადეს. წინადადება უარყოფილ იქმნა 276 ხმით 14 წინააღმდეგ. ხმოსანგლეხთა უმეტესობა წინადადების წინააღმდეგი იყო.

— გაზ. „ლუბლინსკაია ზემლიას" რედაქტორი სამასი მანეთით დააჯარიმეს პოლონურ გაზეთიდან ერთ კორესპონდენციის გადმობეჭდვისათვის, რომელიც ხოლმშჩინიდან იყო მოწერილი.

— ეკატერინოსლავში სასწავლებელთა უფროსებმა განუცხადეს მოწაფეებს, არავინ წახვიდეთ პოტიომკინის ლექციაზე, რომელიც ლუდოვიკო მე-XIV-ს ეხება, თორემ ყველას დაგითხოვთო.

**ისევ პროვოკაცია.** „გოლოს მოსკვის", „რეჩის" სიტყვით, შეძლება ჰქონია სარწმუნო წყაროებიდან გაეგო ამას წინად მომხდარ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კონფერენციის ამბავი. სხვათა შორის, იქ განუხილავთ საკითხი, რატომ გამცემებს არა ვხოცავთ, როგორც დავადგინეთო. კონფერენციის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა ისეთი მიმართულება, რომელიც პროვოკატორების მნიშვნელობაზე აზრის შეცვლის მომხრე იყო. „დელეგატებმა, სხვათა შორის, სთქვეს, იმისდა მიუხედავად, რომ აზეფმა დიდი ვნება მოგვიტანა, მაინც არ შეიძლება უარვყოთ მისი როლი დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძისა და პლევეს მკვლელობაში. ესევე ითქმის ალექსანდრე პეტროვზე,—პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსი კარპოვი რომ მოჰკლაო.".

მაგრამ აზეფის თხოვნას, გამასამართლეთო, ამ მიმართულებასთან კავშირი არა აქვს. აზეფმა მართლა განუცხადა თავის სურვილი, მაგრამ ბურცევს კი არა, მთავარ კომიტეტის წევრს ს—ს., რომელიც პარიზში სცხოვრობს. ამის მიზეზი, გაზეთის აზრით, ისაა, რომ აზეფი აღარ სჭირია პოლიციის დეპარტამენტს, საინტერესო აღარ არის, რადგან უკვე გამომჟღავნებულია მისი საქმე. „იმ დაწესებულებათ, რომელშიაც აზეფი მსახურებდა, მისი მიღება აღარ შეუძლიანთ. მის გამომჟღავნების დროს გაქცევაში დაეხმარნენ, მაგრამ ეს დახმარება მუდმივი ვერ იქნება.

აზეფი გასამართლებას თხოულობს, რადგან ყოველთვის სიკვდილის შიშში ყოფნა მოსწყინდა.

გაზეთი ამ ცნობებს რომ გადმოგვცემს, აღნიშნავს, ვინ იცის, რას გვიამბობს აზეფი პარტიის მეთაურების თაობაზეო. მაგრამ პოლიციის დეპარტამენტისას რაღას გვიამბობს აზეფი, ეს გაზეთს არ აინტერესებს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს)

**29 ოქტომბერი.**

**საზღვარ-გარედ.**

**ტოკიო.** იმპერატორის მატარებელი დიანდაკს გადასცდა. ტოკიოში მყოფი ჩინეთის ელჩი და იოკოგამის ელჩი რეზიდენციებიდან გაიქცნენ, რადგან ჩინეთის უმწეოდ დარჩენილი სტუდენტები მოსვენებას არ აძლევდნენ.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** „ბირჟევია ვედომოსტის" რედაქტორ გასიდევს 25 მანეთი ჯარიმა დაადეს და თანამშრომელ ბრეშკო-ბრეშკოვსკის ნახევარ წლით ციხე, კადაუნწყვიტეს ნოვოჩერკასკის გიმნაზიის დირექტორის ქვრივის სახლსა სამებრ, ციდი დამწვარი. ოდესის სათავადაზნაურო სასამართლოში მოხელედ მყოფ ცეხანოვი-

ნის სახლისამებრ, გასიდევს 9 თვით ციხე გადაუწყვიტეს.

**კავკაზი.** ინგუშთა ბრბომ სადამოს 6 საათზე ტერ-ოგანეზოვის მაღაზია გაძარცვა, მოსამსახურე მოჰკლა, ზოლოგიელი დასჭრა.

**კოლომნა.** სადგურ ბოლოშის ახლო ფოსტა გაძარცვეს. ფოსტის მოხელე დასჭრეს.

**მოსკოვი.** ტუღელი მემამულე სტეფანოვი ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს. მას ყალბ ვექსელების ბრძანების გაკეთება და გრაფ ზოტოვის სახლის ტარება ჰბრალდებოდა.

**ლუბლინი.** სოფ. ზემბორჟიცაში 50 სახლი დაიწვა, სულ 120 შენობა. ზარალი დიდია.

# თეატრი და ხელოვნება

დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „დამნაშავის ოჯახი" ჯაკომეტასი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქართულის თეატრის მსახიობნი. რეჟისორად ვლს ალექსი—მესხიშვილია. წარმოდგენიწმინდა შემოსავალი ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის სასარგებლოდ გადაიდება, რომელიც უკვე შეუდგა ნაძალადევში სახალხო თეატრის შენობის აგებას.

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათ ზე 58 წუთითაა უკან).

**15 ოქტომბრიდან**

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 14 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5, II—III კლას. გადის საღ, 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ, 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარაში დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარაში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** სახალხო N 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო N 8,—ნაშუადღ. 4 ს 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

# განცხადებანი


**მუხრანის ქუჩის**

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ითხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაყუბრელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. აბერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ძიძ ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ლ. მ. მონინი—დედათა სნეულებანს და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექი ბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგ ებით.

№ 646. 100—50 (0—1003—16 5

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვა: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12. ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგლიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. ბურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და სიბავშვო.

ნ. გ. ბაბახანოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ბეგლიხანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—170)

**ექიმი ალ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით**: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **სასწავლებლების** **სარისხზე**. ყველა კლასის ჩინოსნებს, ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ სარჩენდაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებიდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.9)

„ს პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".

1860 წ. დაარსებული.

ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.

**თმის საზრდელი „ილსექსტრაქტი"**,




Lotion Végétale aux Violettes d'Antibes

ქერტლის საშუალება და თმის გასამაგრებელი

მთავარი საწყობი: ტფილისი, საატიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (12—1294—6)

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა" . . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . | ფ. 85 კ. |
| Batoun-ისა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. უიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

**საბანკო სახლი ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.**

**კავკასიის სააგენტო**

ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 65, ტელეფონი № 1177.

**ჰყიდის მომგებიან ბილეთებს**

სახელმწიფო სესხ. ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

აზღვევს მომგებიან ბილეთებს ტირაჟში გამოსვლისაგან იაფად.

პროსპექტები პირველ მოთხოვნილებასთანავე უფასოდ. (15.1555.4)





სტამბა „სორაპან.", ხლებიძის ქუჩაზედა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჭურღულაშვილი.